სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“
2022 წლის ანგარიში
(საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით)

1. **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ მიმდინარე 2022 წლის განმავლობაში არ შემოსულა განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ განცხადება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ არ შემოსულა.

2. **საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „გ“ პუნქტი**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ საჯარო და პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და მესამე პირებისთვის გადაცემა ხორციელდება დადგენილი წესით. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის შენახვა წარმოებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ არქივში, საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის და საქმისწარმოების განყოფილებაში არსებულ სათავსოში.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ დაცული ინფორმაცია შესაბამისი პირის/პირების პერსონალური მონაცემების შესახებ მიმდინარე 2022 წლის განმავლობაში განვალობაში გაიცა კანონით დადგენილი წესით შესაბამის დაწესებულებაზე 4 შემთხვევაში.

3. **საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „დ“ პუნქტი**

მიმდინარე, 2022 წლის განმავლობაში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ თანამშრომლებს არ დაურღვევიათ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამისად, მათ არ დაკისრებიათ დისციპლინური პასუხისმგებლობა.

4. **საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ე“ პუნქტი**

მიმდინარე 2022 წლის განმავლობაში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს (კოლეგიური ორგანო) საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

5. **საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ვ“ პუნქტი**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ მიმდინარე 2022 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს/საჩივარი არ შემოსულა.

6. **საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ პუნქტი**

მიმდინარე 2022 წლის განმავლობაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული თანხების (ხარჯების) გადახდას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია.